პოლიტიკური მეცნიერებანი

1. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია**
   პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი – პოლიტიკური მეცნიერებანი

2. **პროგრამის ხელმძღვანელი**
   თსუ სრული პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

3. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

პროგრამის მიზნები: სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს პოლიტიკის და პოლიტიკური სფეროს საკვანძო მომენტების გამოკვეთას და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლის საფუძველზე ახალი ცოდნის და ინფორმაციის შექმნასა და გენერირებას. სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში მიზნად ისახავს, აგრეთვე, დისციპლინის ცალკეული პრობლემური სფეროების გამოკვლევას.

სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში ემსახურება ამ დარგში მკვლევარისა და აკადემიური სფეროს მომავალი სპეციალისტის მომზადებას, რომლესაც შესწევს ახალი ცოდნის გენერირება და თავისი სადოქტორო დისერტაციით ემსახურება ახალი ცოდნის შექმნას პოლიტიკურ მეცნიერებაში

სწავლის შედეგი: შესაბამისად, დოქტორანტურის სწავლის შედეგი და კომპეტენცია მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:

_ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაცია;

_ ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონსერვაცია;

_ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტრანსფორმაცია;

_ ლიდერობა;

_ ავტონომია.

პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების ლიდერები იქნებიან. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს

უნდა შესწევდეს უნარი, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი ცოდნა, შემოქმედებითად განავითაროს იგი და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამეცნიერო ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

4. **დასაქმების სფეროები**

პოლიტიკის მეცნიერებაში დოქტორის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით. როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში.

5. **პროგრამაზე მიღების წინაპირობები**

პოლიტიკური მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე სწავლების მსურველთ მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხის ფლობა პოლიტიკურ ან სოციალურ მეცნიერებებში, ასევე ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე მაინც.